



2017 წლის 1 სექტემბრიდან
შემოღებული "საცდელი წესები"

ტვინის შერყევასზე შემოწმება	16
შვიდკაცაში: ფინალიც 14-წუთიანია	21
ჯარიმის აუტში დარტყმა დროის ამოწურვის შემდეგ	24
რამდენიმე სა-ჯარიმო ხეირი	35
7-ქულიანი საჯარიმო ლელო	37
შვიდკაცაში: დაწყება და 22-დან განახლება 30 წამში ...	58, 60
მბოჭავი თამაშობს მხოლოდ ჭიშკრიდან	66
ახლებური რაჟი	70-71
ბურთის ალაღზე დაჭერა	79
ბურთის კიდესთან დაჭერა	81-82
ბურთის 22-ში შეტანა	83
ვისაც ფეხი აუტში უდგას	88
შვიდკაცაში: დერეფანში მოწყობა 15 წამში	90
შვიდკაცაში: შესარკინებლად მზად-ყოფნა 15 წამში	100
შერკინებაში ბურთის შეგდება	105
შერკინებაში ბურთისთვის ფეხის მიკვრა	107
ბურთის ამოღება მეორე ხაზიდან	108
დამცველი თავის ლელოში	122
ბურთის ფლობა	129



16

საშინაო განმარტება

"ტვინის შერყევახე" შესამოწმებლად "დროებითი შეცვლის" წესი მოქმედებს მხოლოდ კაცთა იმ ელიტარულ მატჩებში, რომლებზეც "მსოფლიო რაგბმა" წინდაწინ გასცა სათანადო ნებართვა.

ეს წესები სისხლზე შეცვლის წესთა მსგავსია, ოღონდაც -- უახლესი შესწორებით -- გაყვანილი 10 "ასტრონომიულ წუთზე" ადრე ვერ დაბრუნდება.

21

შვიდკაცა

მატჩი -- თასის ფინალიც -- გრძელდება არა-უმეტეს 14 წუთს. ამას შეიძლება მიემატოს "გაცდენილი დრო" და "დამატებითი დრო".

მატჩი იყოფა ორ ტაიმად. თითოს ხანგრძლივობა არა-უმეტეს 7 წუთია.

24

თუ (ნებისმიერ ტაიმში) დროის ამოწურვის შემდეგ გუნდმა საჭარი-მოდან ბურთი "კიდეზე გადაიტანა | აუტში დაარტყა" სხვა მოთამაშის (მეტოქის) შეუხებლად -- მსაჯმა გუნდს დერეფანი უნდა მოაწოდებინოს და თამაში შემდეგ "უქმ ბურთამდე" გააგრძელოს.

ტაიმის დასამთავრებლად დამრტყმელმა ჯარიმა (ჯერ) უნდა გაათამაშოს და აუტში მერეღა დაარტყას.

35

თუ შემტევს ერთ ეპიზოდში რამდენიმე (ერთზე მეტი) "სა-ჯარიმო ხეირი" ერგო და შეფერხდა -- მსაჯი მის კაპიტანს დაეკითხება, "საჯარიმო დარტყმა" სად დაგინიშნოთ | სად გირჩევნიათო



37

საჯარიმო ლელო..... 7 ქულა

თუ მეტოქის მიერ "ბინძურად თამაში" რომ არა, მოთამაშე ლელოს ნაღდად გაიტანდა -- "კარის ძელებს" შორის ითვლება "საჯარიმო ლელო" და გარდასახვა აღარ ირტყმება.

66

- (ბ) ვიდრე ბურთით ითამაშებდეს -- მბოჭავი ჯერ უნდა წამოდგეს. მბოჭავს "ბურთე თამაში" შეუძლია მხოლოდ ჭიშკრიდან.

70

მინიმუმ ერთი, ფეხზე მდგარი მოთამაშე, ვინაც მიწაზე დეზულ ბურთს, შებოჭილსა და მბოჭავ(ებ)ს "თავზე ადგას" -- უკვე რაქია.

რაქის შექმნისთანავე ივლება "თამაშ-გარეს ხაზები" მოედნის მთელ სიგანეზე.

"ფეხზე მდგარს" შეუძლია (ხელით) უმაღლეს ბურთი, მაგრამ როგორც კი მას მეტოქე დაეჭიდება, ხელით თამაში ორივე მხარეს ეკრძალება.

71

- (ბ) მოთამაშემ მეტოქის დაჭიდების შემდეგ რაქში ბურთს ხელი აღარ უნდა ახლოს.

- (გ) მოთამაშემ ბურთი რაქიდან არ უნდა გამოაგდოს ფეხის მირტყმით -- ნებადართულია მხოლოდ (ტერფით) უკან გამოგორება.

სასჯელი: (ბ) - (გ) საჯარიმო დარტყმა.



79

ბურთის "ალალზე" დასაჭერად მოთამაშეს ცალი ან ორივე ფეხი თავის "22-მეტრა ხაზზე" ან მასზე უკან უნდა ედგას.

ამ მოთამაშეში პირდაპირ და სუფთად -- გინდაც ნახტომით -- უნდა დაიჭიროს "მეტოქის მიერ ფეხით დარტყმული ბურთი", რომელმაც 22-მეტრა "ხაზის სიბრტყეს" უწია, და "ალალი!" დაიძახოს.

81

"ბურთის აუტში გასვლის ადგილი" იქაა, სადაც "ბურთიანი მოთამაშე" ან ბურთი "აუტის ხაზს" შეეხო ან გადაკვეთა.

"აუტის ხაზის სიბრტყე" ამ ხაზისადმი ვერტიკალურია.

ბურთი აუტშია -- თუ მისი დაჭერის დროს მოთამაშეს "თუნდაც ცალი ტერფი" უდგას "აუტის ხაზზე" ან მის გადაღმა.

თუ დაჭერისას ბურთმა უკვე გადაკვეთა "აუტის ხაზის სიბრტყე" -- ითვლება, რომ ბურთი კიდევუ დამჭერს არ გადაუტანია; ხოლო თუ ბურთს დაჭერისას ან მიწიდან აღებისას ჯერაც არ გადაუკვეთია იგივე სიბრტყე - დამჭერს ბურთი "კიდევუ გადატანილად" ჩაეთვლება იმის და მიუხედავად, ბურთი მოძრაობდა თუ არა.

თუ ბურთმა (ჭაერში) გადაკვეთა აუტის ან "ლელოს კიდის ხაზი" და დაიჭირა მოთამაშეში, ვისაც ორივე ფეხი "სათამაშო არეში" უდგას -- ბურთი აუტში ან "ლელოს კიდევუ" გადასული არაა. ამ მოთამაშეს ბურთის "სათამაშო არეში" გადმოგდება ხელის წაკვრითაც შეუძლია.

82

თუ მოთამაშე "სათამაშო არიდან" ახტა და კიდევუ | ლელოს კიდევუ დაბიჯებამდე ბურთი "სათამაშო არეში" გადმოაგდო -- გინდ წაკვრით და გინდაც დაჭერის შემდეგ ტყორცნით -- თამაში გრძელდება იმის და მიუხედავად, ბურთმა უწია თუ არა "აუტის ხაზის სიბრტყეს".

თუ ბურთს "აუტის ხაზის" სიბრტყე არ გადაუკვეთია -- აუტში (კიდის გადაღმა) მყოფ მოთამაშეს შეუძლია ფეხი დაარტყას ან ხელი წაჭკრას -- მაგრამ არ უნდა დაიჭიროს.

თუ ბურთიანმა "აუტის ხაზის სიბრტყეს" უწია, მაგრამ ბურთი კიდევუ დაბიჯებამდე დააბრუნა "სათამაშო არეში" -- თამაში გრძელდება.



83

(ბ) თუ თავის 22-ში "ცალი ან ორივე ტერფით მყოფმა" მოთამაშემ 22-ის გარედან აიღო | 22-ის გარეთ დაიჭირა ბურთი, და 22-ის შიგნიდან აუტში "პირდაპირ დაარტყა" -- მისი გუნდი მოედანს ვერ მოიგებს, რადგან ამ მოთამაშემ ბურთი "თავის 22-ში შეიტანა".

88

19.5 ვისაც ფეხი აუტში უდგას

თუ აუტში | ლელოს კიდეზე "ცალი ან ორივე ტერფით მყოფმა" მოთამაშემ "სათამაშო არიდან" აიღო ბურთი -- **სულ ერთია, მოძრავი თუ უძრავი** -- მას "აუტში | ლელოს კიდეზე გადასვლა" ჩაეთვლება.

105

20.5 შერკინებაში "ბურთის შეგდება"

გაუჯანჯლებლივ. როგორც კი მეტოქე "პირველი ხახუბი" ერთმანეთს შეეჭიდებიან, შერკინება დასტაბილურდება და ბურთსაც მოიტანენ -- "9 ნომერმა" ბურთი შერკინებაში დაუყოვნებლივ უნდა შეაგდოს.

- * მსაჯი "9 ნომერს" აღარ ანიშნებს, ბურთი შეაგდეთ.
- * "9 ნომერმა" ბურთი უნდა შეაგდოს შერკინების იმ მხრიდან, რომელიც თავიდან აირჩია.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

20.6 "როგორ აგდებს" ბურთს "9 ნომერი"

(ა) "9 ნომერი" -- შერკინებიდან 1 მეტრზე, "შერკინების შუა ხახუბი" ისე უნდა დადგეს -- რომ მისი თავი შერკინებას არ შეეხოს და არც "ახლო-მდგომი ბურჯის" გადაღმა მოხვდეს.

ბურთის შემგდებ "9 ნომერს" შეუძლია ისე დადგეს, რომ მარცხენა მხარი გვირაბის ღერძზე გაისწოროს.



107

(ბ) მირტყმა "შეგდების შემდეგ". თუ გვირაბში ბურთი უკვე შეეხო მიწას -- ნებისმიერ პირველ-ხაზელს შეუძლია, მისი მოგება "ნებისმიერი ტერფით" სცადოს.

შერკინებაში ბურთის შემგდები გუნდის პირველი ხაზის რომელიმე მოთამაშემ აუცილებლად უნდა დაჰკრას | მიჰკრას ბურთს ფეხი.

(გ) ბურთის გამოგდება. პირველ-ხაზელმა ბურთი "განგებ არ უნდა გამოაგდოს" გვირაბის იმ ბოლოდან, საიდანაც იგი შერკინებაში შეაგდეს.

სასჯელი: (ა) - (გ) თავისუფალი დარტყმა.

108

(ბ) ყველას -- ხელით თამაში. მოთამაშემ შერკინებაში ბურთს "ხელი არ უნდა ახლოს" და იგი არც "მიწიდან აიღოს | აწიოს ტერფებით".

სასჯელი: (ა) - (ბ) საჯარიმო დარტყმა.

გამონაკლისი: 8 ნომერს შეუძლია, (ხელით) აიღოს მეორე-ხაზელთა ფეხებთან დებული ბურთი.

122

22.9 დამცველი "თავის ლელოში"

(ა) თუ დამცველს "ცალი ტერფის ნაწილი" თავის ლელოში უდგას -- ითვლება, რომ იგი "ორივე ფეხით" იჭაა.

(ბ) თუ მოთამაშეს ცალი ან ორივე ფეხი თავის "კარის ხაზზე" | მასზე უკან ედგა, და ბურთი მოედინიდან აიღო | კარის ხაზის წინ დაიჭირა -- გამოდის, რომ მას ბურთი "მოედანში აუღია".

(გ) თუ მოთამაშეს ცალი ან ორივე ფეხი თავისი "ლელოს უკანა ხაზზე" | მასზე უკან ედგა, და აიღო | დაიჭირა ბურთი, რომელსაც ამ ხაზის-თვის | "ლელოს კიდისთვის" არ მიუღწევია -- გამოდის, რომ ბურთი "უჭმად თავადვე უჭცევია".

129

ფლობა (ბურთისა) ნიშნავს, რომ მოთამაშეს ბურთი ხელ(ებ)ით უჭირავს | მოთამაშე ბურთის დაუფლებას ცდილობს, ან ბურთს გუნდი აკონტროლებს. მაგალითად, გუნდი "ბურთს ფლობს", თუ იგი შერკინებაში ან რაჭში მის მხარესაა.